საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაპანაძე ზურაბ რაჟდენის ძე



ზ. კ ა პ ა ნ ა ძ ე. „რას გადაურჩა თბილისი" (ი. აბაშიძის ნაწარმოების მიხედვით). 1963.

კაპანაძე ზურაბ რაჟდენის ძე (15. XI. 1925, თბილისი, – 20. X. 1989, იქვე), მხატვარი-გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემია (1953). იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას (იყო გამოყენებითი გრაფიკის კათედრის პროფესორი). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1953-იდან. ძირითადად - მუშაობდა წიგნის გაფორმების დარგში. მხატვრის მიერ შექმნილი გრაფ. სახეები გამოირჩევა მონუმენტურობით. ძირითადი ნამუშევრებია ილუსტრაციები წიგნებისათვის: დ. დემირჭიანის „ვარდანანქი" (ისტ. რომანი ორ წიგნად, 1962); ი. აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი" (1963, II ხარისხის დიპლომი, რუსული წიგნის 400 წლისადმი მიძღვნილ კონკურსზე); მუს. სახელმძღვანელოები I და II კლასებისათვის (1964, ბრინჯაოს მედალი სსრკ სახ. მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე); „ვეფხისტყაოსანი" (1966, II ხარისხის დიპლომი საკავშ. კონკურსზე); მინიატიურული „ვეფხისტყაოსანი" (1967, ოქროს მედალი, იქვე); „ქართული ხელნაწერები" (1970, ი. - ფეოდოროვის სახ. დიპლომი); ისიკავა ტაკიბოკუს მინიატიურული გამოცემის ილუსტრაციები (ასი ტანკა, 1970) და სხვ. მის მიერ შექმნილია მეფე ფარნავაზის წარმოსახვითი პორტრეტი. კ., გარდა გრაფიკისა, ნაყოფიერად მოღვაწეობდა მონუმ. მოზაიკის დარგშიც (გააფორმა კაფე „ფანტაზია" ე. წ. "რვაფეხა" ბათუმში, ავტორთა ჯგუფთან ერთად).